ფილიალის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომლის 100% წილის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. ხელმძღვანელობის შეფასებით ფილიალი შეძლებს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. მიმდინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ ფილიალის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვების (ტენდერის) საშუალებით ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე. სახელმწიფო შესყიდვების შედეგების წინასწარ საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. მოცემული გარემოება მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე ფილიალის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა გეგმავს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას კონკურენტული პირობებით.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)

5, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლოგამოყენებისვადა წლებში:
ოფისისაღჭურვილობა	3
მანქანა დანადგარები	2-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
კონსტრუქციები	3-5

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

6, არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 5 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

7, ამონაგები საშენებლო ხელშეკრულებიდან

ფილიალის ძირითადი ამონაგები ფორმირდება ცვალებად ღირებულებიანი ხელშეკრულებებით. სახელშეკრულებო ღირებულების ცვლილება დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე და სამუშაოების შესრულების ვადებზე. აღიარებული ამონაგები განისაზღვრება იმ პროპორციის შესაბამისად, რა პროპორციის ხარჯებიც გაიწია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად კონტრაქტის სავარაუდო ჯამურ ხარჯებთან მიმართებით. ამონაგების შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობასთან რაც უკავშირდება მომავალ მოვლენებს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სახელშეკრულებო ამონაგებისა და სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებები. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

8, მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

9, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

10, გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არა მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არა მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

11, ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი ეკვივალენტურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტები“-დან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

12, სათაო ოფისის ნაშთის მართვა

ფილიალი სათაო ოფისის ნაშთთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად სათაო ოფისის უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და სათაო ოფისის ნაშთის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ფილიალის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს სათაო ოფისის ნაშთის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ფილიალის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფილიალი აბალანსებს სათაო ოფისის ნაშთს დივიდენდების გაცემით, სათაო ოფისის შენატანებით და სესხის აღება/დაფარვით.

13, სათაო ოფისის ნაშთი

სათაო ოფისთან განხორციელებულ ოპერაციებს ფილიალი აღრიცხავს სათაო ოფისის შენატანების ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს სათაო ოფისის ნაშთის განცალკევებულ რეზერვს. არაფულადი აქტივების მოძრაობა ფილიალსა და სათაო ოფისს შორის აღირიცხება არაფულადი ოპერაციების რეზერვის ანგარიშზე. სხვა ოპერაციების რეზერვზე აღირიცხება ფულის და ფულის ეკვივალენტების მოძრაობა და სათაო ოფისის მიერ ფილიალის სასარგებლოდ მესამე მხარისთვის ანაზღაურება. სხვა ოპერაციების რეზერვის ნაშთზე საკურსო სხვაობის ეფექტის გავლენა აღირიცხება პირდაპირ სათაო ოფისის ნაშთის ანგარიშგებაში გაუნაწილებელი მოგების რეზერვთან კორესპონდენციით.

14, დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება სათაო ოფისის ნაშთი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი (GEL).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგებად ასაკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის/(ზარალი)-ს სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულებისგან საზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

16. შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ანმისაღებანაზღაურებისრეალურიღირებულებით.შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

კომპანიაშესრულებისვალდებულებასაღიარებსდროისერთმომენტში, რადგან არსებობს შესრულებისმხოლოდერთივალდებულება.

17. პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიურიანაზღაურებადიშვებულებებიდაავადმყოფობისგამოშვებულებები, ბონუსებიდაარაფულადიშეღავათები დარიცხულიაკომპანიისთანამშრომლებისმიერშესაბამისიმომსახურებებისგაწევისწელს. კომპანიასარააქესრაიმესაპენსიოანმსგავსიდახმარებისგადახდისკანონითგათვალისწინებულიითუკონსტრუქციულივალდებულება.2019 წლის 1 იანვრიდანმოყოლებულიკომპანიასაქესკანონითგათვალისწინებულივალდებულებათანამშრომელთადა რიცხულიხელფასის 2%-ისგადახდისთაობაზე საპენსიო ფონდში.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)

18.ჩათვლა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება დაწმინდა თანხად ირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ეტოსა ფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სერთოდოულად განხორციელების განზრახვა.

19. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

21. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებული თანხების რეალურ გამოცდილებას. ამაქტივებში ჩადებულის ამომავლო ეკონომიკურის არგებლის შთანთქმა, ძირითადად, მოხმარების შემწევობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორც ატექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვლადი შირადი წვევს ამაქტივებში ჩადებულის ამომავლო ეკონომიკურის არგებლის მნიშვნელოვან დაშემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილის სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ხორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამაქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზროპირობებში მომხდარი ცვლილებები, თანამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

22. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. კომპანია, კლიენტების გადახდის უნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგადეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების აშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსა და იმდროინდელ პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილება მიუძღვნება მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

23. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

2020 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის თავდაპირველი გამოყენების გავლენა ფასს 9-ში და ფასს 7-ში;
 - კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა ფასს 16-ის შესწორებები;
 - საიჯარო გადასახადების ცვლილებების აღრიცხვაზე გავლენა, გათავისუფლების გამოყენებით;
 - სხვა ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტების საწყისი გამოყენების გავლენა, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლისთვის.
- ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.
- ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩარჩოში მითითებების შეტანა;
 - ფასს 3-ში შესწორებები ბიზნესის განმარტებაში;
 - ბასს 1-ში და ბასს 8-ში შესწორებები მასალების განმარტებაში;
- კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები) - საწარმოს განმარტება¹;

- ბასს 1 და ბასს 8 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებები) - მასალის განმარტება¹;
- ფასს-ებისწლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი - მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია³;
- ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 (შესწორებები) - საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა და მისი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე¹.

¹ძალაშია 2021 წ. 1 იანვარსანმისშემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის,

ვადამდელი გამოყენება და შევებულია;

²ძალაშია 2022 წ. 1 იანვარსანმისშემდეგ დაწყებული წლიურისა ანგარიშგებო პერიოდებისათვის,

ვადამდელი გამოყენება და შევებულია;

³ძალაშია 2023 წ. 1 იანვარსანმისშემდეგ დაწყებული წლიურისა ანგარიშგებო პერიოდებისათვის,

ვადამდელი გამოყენება და შევებულია;

⁴სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა,

შესწორება თავად ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად.

აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან

ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)

24. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

ისტორიული ღირებულება	ავტოტრანსპორტი	კონსტრუქციები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
31.12.2018	<u>6,804,405</u>	<u>247,729</u>	<u>885,827</u>	<u>352,362</u>	<u>8,290,323</u>
შემოსვლა	58,681	-	58,064	-	116,745
გადაცემასათაო ფისზე	<u>-4,173,046</u>	<u>-</u>	<u>-42,203</u>	<u>-</u>	<u>-4,215,249</u>
31.12.2019	<u>2,690,040</u>	<u>247,729</u>	<u>901,688</u>	<u>352,362</u>	<u>4,191,819</u>
შემოსვლა	128,200	-	-	-	128,200
გასვლა	-226,445	-	-	-	-226,445
გადაცემასათაო ფისზე	<u>-315,206</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-315,206</u>
31.12.2020	<u>2,276,589</u>	<u>247,729</u>	<u>901,688</u>	<u>352,362</u>	<u>3,778,368</u>
შემოსვლა	0	-	-	-	0
გასვლა	0	-	-	-	0
გადაცემასათაო ფისზე	<u>0</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>0</u>
31.12.2021	<u>2,276,589</u>	<u>247,729</u>	<u>901,688</u>	<u>352,362</u>	<u>3,778,368</u>
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2018	<u>-1,772,290</u>	<u>-192,884</u>	<u>-488,409</u>	<u>-254,356</u>	<u>-2,707,939</u>
ცვეთა	-294,069	-36,469	-177,237	-61,945	-569,720
გადაცემასათაო ფისზე	<u>1,086,921</u>	<u>-</u>	<u>23,269</u>	<u>-</u>	<u>1,110,190</u>
31.12.2019	<u>-979,438</u>	<u>-229,353</u>	<u>-642,377</u>	<u>-316,301</u>	<u>-2,167,469</u>
ცვეთა	-317,438	-8,365	-112,256	-28,936	-466,995
გასვლა	100,212	-	-	-	100,212
გადაცემასათაო ფისზე	<u>315,206</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>315,206</u>
31.12.2020	<u>-881,458</u>	<u>-237,718</u>	<u>-754,633</u>	<u>-345,237</u>	<u>-2,219,046</u>
ცვეთა	-287,120	-1,918	-71,099	-5,516	-365,653
გასვლა	0	-	-	-	0
გადაცემასათაო ფისზე	<u>0</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>0</u>
31.12.2021	<u>-1,168,578</u>	<u>-239,636</u>	<u>-825,732</u>	<u>-350,753</u>	<u>-2,584,699</u>
საბალანსო ღირებულება					
31.12.2019	<u>1,710,602</u>	<u>18,376</u>	<u>259,311</u>	<u>36,061</u>	<u>2,024,350</u>
31.12.2020	<u>1,395,131</u>	<u>10,011</u>	<u>147,055</u>	<u>7,125</u>	<u>1,559,322</u>
31.12.2021	<u>1,108,011</u>	<u>8,093</u>	<u>75,956</u>	<u>1,609</u>	<u>1,193,669</u>

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)

25. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	1,730,304	4,086,628
მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები	19,127	35,227
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,749,431	4,121,855
საექვოვალის რეზერვი	-	(41,219)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	1,749,431	4,080,636
გადახდილი ვანსები	1,914,857	1,229,354
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-
სულ არაფინანსური მოთხოვნები	1,914,857	1,229,354
სულ	3,664,288	5,309,990

26. ფული და ფულის ეკვივალენტები

2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ნაღდი ფული სალაროში	6,789	390
ფული ბანკში	125,798	1,042,912
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი	132,588	1,043,302

27. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

28. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	2,890,019	2,890,019
სავაჭრო ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	2,095,035	1,709,759
გადასახდელი ხელფასები	707,654	763,673
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,692,708	5,363,451
საგადასახადო ვალდებულება	-	147,903
სულ ვალდებულებები	5,692,708	5,511,354

29. შემოსავალი

შემოსავალი შედგება:

ფილიალის ძირითადი ამონაგები ფორმირდება ცვალებად ღირებულებიანი ხელშეკრულებებით. ფილიალს გაფორმებული აქვს სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია-სთან. ხელშეკრულება მოიცავს დასახლებულ პუნქტებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობას. საანგარიშგებო პერიოდში ფილიალი ახორციელებს სამუშაოებს შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ზუგდიდი, ჯვარი, აბაშა.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ამონაგების მოცულობას პროექტების მიხედვით:

პროექტის დასახელება	2021	2020
ზუგდიდი	130,816	(6,854,316)
ჯვარი	1,390,630	1,096,660
აბაშა	965,183	2,192,117
ანაკლია	-	2,610,674
სხვა	<u>70,226</u>	<u>130,483</u>
სულ	<u>2,556,856</u>	<u>(824,382)</u>

სახელშეკრულებო ღირებულების ცვლილება დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე და სამუშაოების შესრულების ვადებზე. სამუშაოების ჩაბარების ვადების დარღვევა ითვალისწინებს სახელშეკრულებო ღირებულების საჯარიმო შემცირებას ხელშეკრულების საწყისი ღირებულების 0.1%-ით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. საჯარიმო თანხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 100 დღიანი ვადაგადაცილებისთვის და შეადგენს 10%. ფილიალი 2021 წელს დაჯარიმდა მიმდინარე პროექტებზე პროექტების დასრულებაზე ვადის დარღვევისთვის.

30. თვითღირებულება

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს თვითღირებულებას ყველა პროექტისთვის ჯამურად:

	2021	2020
მარაგების ჩამოწერა	(1,376,381)	(3,537,925)
ქვეკონტრაქტორები	(695,031)	(4,063,509)
ხელფასის ხარჯი	(1,058,007)	(2,470,237)
ცვეთის ხარჯი	(365,653)	(466,995)
გარანტიის ხარჯები	(283,527)	(427,777)
სატრანსპორტო ხარჯი	(40,736)	(91,059)
სხვა ხარჯები	<u>(256,446)</u>	<u>(304,413)</u>
სულ	<u>(4,075,781)</u>	<u>(11,361,915)</u>

31. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2021	2020
ხელფასი	(370,929)	(370,349)
ჯარიმებზე იურიდიულ სერვისების მომხმარებლისთვის	-	(167,000)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(78,606)	(78,606)
გადასახადებზე გარდამოგების გადასახადისა	(733)	(35,744)
ბანკის მომსახურება	(3,636)	(30,861)
სხვა ხარჯები	<u>(11,437)</u>	<u>(97,428)</u>
ფინანსური აქტივების (გაუფასურება)/აღდგენა	<u>106,782</u>	<u>112,643</u>
სულ	<u>(358,559)</u>	<u>(667,345)</u>

32. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასორისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)

მმართველობის ანგარიშგება

სუბიექტის განვითარების გეგმები

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი (შემდგომში ფილიალი) დაარსდა 2015 წლის 10 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ფილიალის იურიდიული მისამართია ზემოვედისი #2/3, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო. ფილიალი წარმოადგენს აზერბაიჯანში რეგისტრირებული ფილიალის ას ინშაათ-ნ-ის ფილიალს. ფილიალის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სერვისის გაწევა. ფილიალი ახორციელებს წყალმომარაგების სისტემების შეცვლას დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სათაო ოფისის მფლობელები არიან ნუშრავან ჯალილოვი (წილის 50%) და „PAY ჯგუფი“ (წილის 50%).

ფილიალი 2021 წლის განმავლობაში ახორციელებდა წყალმომარაგების სისტემების შეცვლის მომსახურებას საქართველოში, სხვა და სხვა ლოკაციაზე, ზუგდიდში, აზაშაში, ანაკლიასა და ჯვარში. ფილიალის ძირითადი დამკვეთი არის სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი კომპანია (შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია). ფილიალი მომავალში გეგმავს ტენდერებში მონაწილეობის მიღებას და სამშენებლო მიმართულებით აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო და არა სახელმწიფო პროექტებში.

ფილიალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით, რომელთაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ სამშენებლო მიმართულებით. ვინაიდან ფილიალი ოპერირებს შრომის უსაფრთხოების მაღალი რისკის სექტორში, ფილიალის პრიორიტეტი ხდება თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვა. ამისათვის მუდმივად ხორციელდება თანამშრომელთა გაცნობა უსაფრთხოების წესებთან და ამ მოთხოვნების დაცვის კონტროლი.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ფილიალს გააჩნია მკაცრი ჰორიზონტალური მმართველობის სტრუქტურა, რომელიც სრულად ექვემდებარება გენერალურ დირექტორს. ხოლო, ყველა განყოფილებას ჰყავს უშუალო განყოფილების ხელმძღვანელი.

ინფრომაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ასინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალს ფილიალები არ გააჩნია, თუმცა სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე რამოდენიმე ობიექტზე ხდება სამუშაოების წარმოება.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ფილიალს საანგარიშო პერიოდში კვლევა-ძიების სფეროში სამუშაოები არ უწარმოებია.

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის განმავლობაში ფილიალი მუშაობდა პროექტებზე, განახორციელა წყალმომარაგების სისტემების შეცვლის მომსახურება, ამ პროექტების დამკვეთთა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანია.

ფილიალი ზრუნავს ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზე, იცავს და ემორჩილება ყველა ადგილობრივ კანონს და ნორმატიულ აქტს ნარჩენების შეგროვების, შენახვის, გადამუშავების და გატანის შესახებ და შესაბამისობაშია გარემოს დაცვის მოთხოვნებთან.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

ფილიალი 2020 და 2021 წლებში დაჯარიმდა ოთხივე პროექტზე პროექტის დასრულებაზე ვადის დარღვევისთვის. 2021 წლის ჯარიმა ხელმძღვანელობამ განიხილა, როგორც ბალანს შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენა და დააკორექტირა კონტრაქტის ფასები. კონტრაქტის ფასის ცვლილების ეფექტი მოგება ა/(ზარალი) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია პერსპექტიულად და მიმდინარე პერიოდში დაკორექტირებულია ამონაგები საკონტრაქტო ფასის ცვლილების შესაბამისად.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფილიალი საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. ფილიალის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკფაქტორები:

- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა

ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა უმნიშვნელოვანესია სამშენებლო სექტორში. ასინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალისთვის ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილიალის პროექტების დამკვეთს წარმოადგენს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანია.

- ფილიალის თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოება

**სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)**

ვინაიდან, სამშენებლო საქმიანობა მიეკუთვნება მაღალი რისკის შემცველ სამუშაოს, არის იმის საშიშროება, რომ მოხდეს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზიანება და გარდაცვალებაც კი. გარდა კვალიფიციური კადრის დაკარგვისა, ეს გამოიწვევს ფილიალის იმიჯის დაცემას და არაპირდაპირ შესაძლებელია აისახოს შემოსავლებზეც. ამისათვის ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ მუდმივად ხდება რისკის შეფასება რაც მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;

ყველა სამშენებლო ობიექტზე დანიშნულია შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია როგორც სამშენებლო ობიექტის შესაბამისი უსაფრთხოების საშუალებებით აღჭურვაზე, ასევე, თანამშრომელთა მიერ მათ გამოყენებაზე. ყოველ სამუშაო პროცესზე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ დგება სამუშაოთა წარმოების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც უსაფრთხოების ინჟინერი ამზადებს რისკების შეფასების დოკუმენტს და სახავს ღონისძიებებს რისკების პრევენციისთვის.

➤ **თაღლითობა და ქურდობა**

სამშენებლო ბიზნესში არის საშიშროება სხვადასხვა სამშენებლო მარაგების დატაცების. აღნიშნული რისკის პრევენციისთვის სამშენებლო ობიექტებზე ყველგან არის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის სამშენებლო მოედანზე უცხო პირების მოხვედრას. ამას გარდა, დაგეგმილია სააღრიცხვო სისტემის იმგვარად მოწყობა, რომ ჩაირთოს დამატებითი შიდა კონტროლის სისტემები, რაც ოპერატიულად გამოავლენს თაღლითობისა და ქურდობის ფაქტებს.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებით ინფორმაცია იხილეთ ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი

შახლაახმადოვა

მთავარი ბუღალტერი

კობაფარცვანია

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ქართული ლარი (GEL)

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი (GEL)

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფილიალი საქმიანობას საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. ფილიალის საქმიანობის მოგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკფაქტორები:

➤ ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა

ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა უმნიშვნელოვანესია სამშენებლო სექტორში, ასინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალისთვის ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილიალის პროექტების დამკვეთს წარმოადგენს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანია.

➤ ფილიალის თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოება

ვინაიდან, სამშენებლო საქმიანობა მიეკუთვნება მაღალი რისკის შემცველ სამუშაოს, არის იმის საშიშროება, რომ მოხდეს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზიანება და გარდაცვალება კი. გარდა კვალიფიციური კადრის დაკარგვისა, ეს გამოიწვევს ფილიალის იმიჯის დაცემას და არაპირდაპირ შესაძლებელია პისახოს შემოსავლებზეც. ამისათვის ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ მუდმივად ხდება რისკის შეფასება რაც მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების გასაზღვრას;

ყველა სამშენებლო ობიექტზე დანიშნულია შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია როგორც სამშენებლო ობიექტის შესაბამისი უსაფრთხოების საშუალებებით აღჭურვაზე, ასევე, თანამშრომელთა მიერ მათ გამოყენებაზე. ყოველ სამუშაო პროექტზე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ დგება სამუშაოთა წარმოების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც უსაფრთხოების ინჟინერი აშადებს რისკების შეფასების დოკუმენტს და სახავს ღონისძიებებს რისკების პრევენციისთვის.

➤ თაღლითობა და ქურდობა

სამშენებლო ზონებში არის საშიშროება სხვადასხვა სამშენებლო მარაგების დატაცების. აღნიშნული რისკის პრევენციისთვის სამშენებლო ობიექტებზე ყველგან არის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სამშენებლო მოედანზე უცხო პირების მოხვედრას. ამას გარდა, დაგეგმილია სააღრიცხვო სისტემის ინვესტიციები მოწყობა, რომ ჩაირთოს დამატებითი შიდა კონტროლის სისტემები, რაც ოპერატიულად გამოავლენს თაღლითობისა და ქურდობის ფაქტებს.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებით იწმომაცვია იხილეთ ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბრის.

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 29 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი



შახლახზადოვა

მთავარი ბუღალტერი



კობაფარცვანია